

პაეზზე დამყარებული ამხანაგობა

„ს.მ.პირაკოვსკი და ბ.გ.ოზანოვი“

ქალაქ ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარ სახლებში.

მხოლოდ 11 დღით

ნაშენავს საშობაო **იას-ვაჭრობას**

დარჩენილ სეზონის საქონლებისა

10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20 და 21 დეკემბერს 1913 წ.

აბრეშუმის განყოფილება:

აბრეშუმის მატერიები ტანსაცმელებისთვის და ბლუზებისთვის არშ. დაწყ.	30 კ. და ზევით.
აბრეშუმის მატერიები ქვედა იუბკებისთვის (კანაუტები და ბურსოები) ყო- ველნაირი ფერის საუკეთესო ღირებულება დაწყებული	55 კ. —
აბრეშუმის დაბასე. როდომე და სარტები ყოველნაირი ფერისა სარჩუ- ლისთვის არშინი დაწყებული	35 კ. —
აბრეშუმის ველეტები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისგან და აგ- რეთვე მანქანები არშინი დაწყებული	50 კ. —
აბრეშუმის სასაბნე საპირები ბუზარისა და სამარყანდის და აგრეთვე ატლასების ცალი დაწყებული	5 მ. და ზევით.
შალ-აბრეშუმული მატერიები სახიანი და სიდა ორგანი და ფერადი ყო- ველნაირი არშინი დაწყებული	70 კ. —

შალეულობის განყოფილება:

შიფონები შალეულობის უცხოეთისა და რუსეთის საუკეთესო ქარხნ- ებისგან ორგანიანი ყოველნაირი ფერის დაწყებული	75 კ. და ზევით.
შალეულობის მატერიები ინგლისურ კასტიუმებისათ. ორგანიანი არშინი დაწყ.	50 კ. —
შალეულობის ფორმის მატერიები ყველა სასწავლებლ. ორგანიანი არშ. დაწყ.	30 კ. —
შალეობის მუსლინები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისგან არშ. დაწყ.	30 კ. —
შალეობის მუარი, ქვედა იუბკებისთვის არშინი დაწყებული	30 კ. —
შალეულობის მატერია ორგანიანი სახიანი და სიდა არშინი	28 კ. —

მაუდეულობის განყოფილება:

პლიუშები უსახო აბრეშუმის და შალეულობის საპალტოეთ არშინი დაწყებული	1 მ. 40 კ. და ზევით.
პლიუშები სახიანი ქალებისა და ბავშვებისთვის საპალტოეთ არშინი დაწყებული	95 კ. —
ლიუშები ავეჯეულობისთვის და სასარჩულე არშინი დაწყ.	90 კ. —
შალის კარაკულის მზავის ბუკლე შავი ყველა ფერადი მატერია არ. დაწყებული	2 მ. —
დრაფები დიდებისა და ბავშვებისა პალტოებისთვის ყოველნაირი ფე- რისა არშინი დაწყებული	1 მ. 80 კ. და ზევით.
დრაფები ქალების პალტოებისთვის ფერადი, თავისივე სარჩულით არშინი დაწყებული	1 მ. 90 კ. —
ლიოგენალები შალეულობის საზამთრო დემი-სეზონისა და საზაფხუ- ლო ორგანიანი 2 არშინი სიგანე არშინი	1 მ. 60 კ. —
კასტორები და შვეიცრები მაშაკებისთვის ორგანიანი შავი და ფე- რადი 2 არშინიანი, არშინი დაწყებული	1 მ. 40 კ. —

ტრიკოები საკასტუმე და საშარველ უცხოეთისა და რუსეთის ქარხნ- ებისგან ორგანიანი 2 არშინი სიგანე არშ. დაწყებული	80 კ. და ზევით
ყოველნაირი შალეულობის მატერიები სამხედრო უწყებისათვის სანჯანი და ზავის ფერადი ყოველნაირი ფორმის სუტანოს მატერიები ყვე- ლა უწყების სასწავლებლებისათვის 2 არშინიანი არშინი დაწყე- ბული	60 კ. და ზევით
თფილი პლიუშების, ბიკების, ბამბეულობის საბნები დიდებისა და ბავ- შებისათვის ცალი დაწყებული.	1 მ. — და ზევით
პლედები და თავშეღები უცხოეთისა და რუსეთის ქარხნებისგან ც. დაწყ.	3 მ. —
ხალიჩები ხავერდისაგან ცალი	2 მ. 10 კ. —
შალეულობის დრაფები (აკოშკების და კარების საფარები) ნაქარგი და სახიანი ყოველნაირი ფერის დაწყებული ცალი.	5 მ. — და ზევით
პლიუშების სუფრები ნაქარგი და სახიანი ცალი დაწყებული	4 მ. —
ფესხავალი მატერიები ხალოიანი და ჩუქურთმიანი არშ. დაწყებული	— 18 კ. —

ტილოულობის განყოფილება:

გრინსონი: სლოიანების, ინგლისელებისა და ტიროლისა, ბამბეულობა, ლანკარდი და მიტკლები არშინი დაწყებული.	09 კ. და ზევით
პიკინი და ნაქსოვი საბნები ვაფებისა და ბავშვებისათვის ცალი	1 მ. 10 კ. —
ტიკები მატრასებისათვის ტილოულობისა და ბამბ. 2 გ. ცალ-გან არ- შინი დაწყებული	12 კ. და ზევით
პირსახოცები ფერადი და თეთრი	20 კ. —
ცხვირსახოცები ღუფანი დაწყებული	1 მ. 20 კ. —
პრიბორი თეთრი დაწყებული	3 მ. —

ბამბეულობის განყოფილება:

სატინა სახიანი და სიდა, ყოველნაირი ფერისა არშინი დაწყებული	17 კ. და ზევით
შეშვები ინგლისის, ტილოულობა ზოლიანი და კუბოკრული არშინი დაწყებული.	13 კ. და ზევით
ოკსფორდები და ხოლსტინები ყოველნაირი ფერისა ბავშ. საფარათუკ. არშინი დაწყებული	11 კ. და ზევით
კრეტონები სახიანი და სიდა ავეჯეულობისთვის ყოველნაირი ფერ. არ- შინი დაწყებული	18 კ. და ზევით
ბამბაზია ორგან. სახიანი (набивной) და სიდა არშინი დაწყებული	10 კ. —
ფულიარები და მუსლინები ჩითები ყოველნაირი ფერისა	08 კ. —
ვიგონები ბამბეულობის ქალების კონფექციონისთვის არშ. დაწყებული	23 კ. —
ფარდები ცალეულათ (шторы штучные) ტილისა ცალი	2 მ. 50 კ. —
საღცხოო ფარდების ტილი (гордины) საარშინო. არშ. დაწყებ.	35 კ. —
იუბკები დაშალდებული ქვევით, აბრეშუმ., შალეობის და ბამბაზ. ცალი	1 მ. 40 კ. —
ბლუზები ნაქარი აბრეშუმეულობის, ტიულების, შალეულობის ბამბა- ზების ცალი	1 მ. —

და აგრეთვე დიდძალი ნაჭრები საშობაო საჩუქრებისათვის.

მაღაზია ღია იქნება იანვარის დღეებში 9—1 საათამდე 3—7 საათამდე. ორშაბათს 9 დე-
კემბერს დაკეცილი იქნება მაღაზია მთელი დღე მოსამზადებლათ.

„რეალიზმი“

ბედის გასაღები.

ადგილმკვიდრის ფანტაზია

სუთიშაბათიდან, 12 დეკემბრიდან
არქანაზს საუხურო სპრათს.
მწერალი ქაღის. გერმანულია. რომანთან გადმოყვ.

1 ნაწილი 6 განყოფილებათ

რადგან სურათის შექმნა ძალიან ძვირად დაჯდა ამი-
ტომ დირექტორი იმუშავებელი შეიქმნა ფასები მოცემად.

ადგილი ლო-კში — 4 აბაზი; 1 რიგი — 3 აბაზი, 2 რიგი — 2 აბაზი, 3 რიგი 6 აბაზი
ბილეთები სენსიბილუ იყიდება, ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია. ფასები: 1-5 საათზე, 2-6 საათ. 45 წ. 3-8 1/2 ს. 4-10 საათსა და 10 წუთზე. უფასო კონტ-
რაქტებით არავის უშვებენ, მოსამსახურე პირობები.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლო მიღებული საქონლები პირველი ღირსება, რუსეთისა და საზღვარგარე-
თის საუკეთესო ქარხნებისა და უკანასკნელი მოდის, გაყიდვა დაიწყება დღიდან
მოკლე ვადით ქ. ქუთაისში: ბუღვარის პირდაპირ, აბ. ოცხელების შე-
ნობაში, ახლადიანის ქაღისის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი
ახლადი მადეჟული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან.
დაიწყება ფასი და ამის ზევით, რა ფასიანიც უსურვებთ; კაცის, ქალისა და ბავშვ-
ების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშოდგომო და საზღვრული, კაცის
შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო
ფირმების მრავალგვარი, ბეჭდის მუფთები ქუდები და შალეები ღაზის მრავალ-
გვარი, აბრეშუმის იუბეები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წილები, ზედა-
წილები და ზედაწილის მატრიები ნაქრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების
რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქმრები და საქმრე რე-
ზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაქრისათვის და აგრეთვე შხა შემოსაქერი
ქაღათა და ბავშვთათვის. კორსეტები და სხვა, ამასთანავე მოვახსენებ პარეცემულ
საზოგადოებას, რომ

ახლადიანის მალაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი
და შხა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს
გლეხულად ყოველდღე. ფასები ხელმისაწვდომია და უფაჩროთ.
პარეცემით ა. ახლადიანი.

მეგნახეთა საყურადღებო!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დაეკლდა
გოლეების, ცუდი ადამრაციისა და რუქსტრის დიულო-ს ხმარების გამო.
ამერიკული ვაზის საწერე „კლო ულურული“ ქუთაისში
ერთადერთი საწერე, რომელიც ამერიკის სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაი-
რი ნადავლის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს, დამსადებელი აქვს
გასასყიდო 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკური, 40,000 კრახუნა,
28,000 ციკვა, 12,000 ანდასული, 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000
შვალბლიშვილის, 8000 ოცსანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალი-
გოტ, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილინი 42,000 კაბერე,
20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გაძე თეთრი და შავი და 80,000-ზე მე-
ტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამენილი,
3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზისა 65 მან. 1000
და მელისა—80 მან. კანტონა იმყოფებ: მიხეილის ქუჩაზე მმ.
გოგიელის სახლში ვ. სიამო.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგა-
ნის, ბავშვების, აგრეთვე ყე-
ლის, ცხვირისა და ყურის სნეულებათ
ავთმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნი-
ქარაძისა.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.
ღებულობს ავთმყოფებს
(შინაგანი, გენერული, კანის) ვიტუ-
შინსკის სახლი, აფთაქის უბან, პუშკინის
ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ი. ჩარეკოვი იღებს კანისა
და გენერულ ავთმყოფე-
ბებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით
12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქი-
მი საავთმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლოცის
გვერდით, ფირალის სახლში. თ.

აქიმი ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნ-
და და განაგრძობს ავთმყოფე-
ბის მღებებს.

აქიმი გ. ბ. მგიფარიანი,
ღებულობს შინაგანი,
ბავშვებისა და გენერულ ავთმყოფებს.
დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7
საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი
№ 30 ტელეფონი № 150. თ.

გულგაულის იხრო.

„ზომიერი გონიერების“ პარტიამ გო-
ნიერი ზომიერება იხროა და მარჯვნივ
გადაიხრო. გუჩიკოვის „მედიკი“ ბა-
ლაშვილის ბანაკს გაუღიმა. „ნეტარსენე-
ბული მანიფესტი“ ოკტომბრისათა უმრავ-
ლესობამ სტალინის მერ კმნის ზო-
ლოგოიერ ნაციონალიზმს ანაცვალა და
არც გასაკვირველია. პორტუგლების მო-
ყვარულთ არაოდეს არ ქონიათ რწმე-
ნა მტკიცე და აზრი დამდგარი, მათი
მიმართულება მუდამ იმ გამოფიტულ
ღერწამს წაგავდა, რომელიც ნიკიის
ზეგელენას ქვეშ თავს ღუნავს და იქით
იხრება, საითაც მას ნიავი უკანახებს.
ოკტომბრისათა ლეგიონს დასაბამიდან
ოფიციალურ სფეროთა ღრმა ავტორი-
ტეტანი სიტყვა მიერეკებოდა ისე, რო-
გორც ხარისხიდან წარმომადგენელთ
სურდათ. რა გასაკვირალია, თუ შუ-
ბინსკების რაზმმა ვერც ახლა გაუძლო
სამინისტრო კამბინგის თავჯდომარის
სიტყვას და „სახელმწიფოს საეთილდლე-
ოთ“ ნაციონალისტებს გაუმიჯნურდა
სათათიროს ნაყოფიერი შრომისთვის
საჭირო იყო მაგარი ცენტრი, მხოლოდ
ისეთი კი, რომელიც მთავრობას ოპო-
ზიციაში არ ჩაუდგებოდა, ყოველ მის
ბანკებს „ტაკ ტაზნოთი“ შეხედებოდა,

დაიბარბა

ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელსა და ჩი-
ლინგაროვის საკანდიტროს შუა, 10
დეკემბერს, ღვთის 12 საათზე ქალის
მეცნიერი ჯიშის საათი, რომელიც
ორი რუსული ასო აწერია: M. M. ერთ-
მანეთში გადახლართული. მოგვინოს
ესთხოვთ მიიტანოს ქალთა წმ. ნინოს
სასწავლებელში დარჯ თადეოზთან, რო-
მელიც აჩვენებს საათის პატრონს. მოგ-
ნელი შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

საბჭორო

სამეურნეო შკოლაში კურს დასრულებუ-
ლი, მეგნახობისა და მეღვინეობის მკოდ-
ნე პირი.
მიაკითხონ „კლოუტურული“ კანტო-
რას მიხეილის ქ. მმ. გოგიელის სახ.

ი ყ ი დ ე ბ ა

კახიანურში,
რკინის გზის გადასავალითან ორსართუ-
ლიანი ქვირკირის სახლი, დაგირაგებუ-
ლი ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი
და ბაღით, ზომით 400 კვ. საფ. პირო-
ბების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან,
თფილისის ქუჩა, ფირალის სახლი.

ბილს. არსებითად 17 ოკტომბრის მანი-
ფესტის მტრთ ვერც ლიბერალურმა სა-
მოსელომა უშველა, ვერც განახლების
სიტყვათა ლექსიკონმა, ვერც კულამო-
ტებულმა მუქარამ და ლონგინდოლებ-
მა, ჯანმრთელებმა თავისი შესაფერი
ადგილი მოიხსნეს, მათსა და ნაციონა-
ლისტებს შორის სამინისტრო პორტუგ-
ელი იყო აქამდე განუთქობების საგანი.
სხვა მათ გასაყფი არა ქონიათ და,
რაკი დაატყვეს, რომ ბრძოლით ვერა-
ფერს გახდებოდნენ, არჩეს მეზობლებთან
დამეგობრება და დღეს მზგავსნი მზგავ-
სათ მიიტყენ. ასეთი პოლიტიკური დონ-
კიხოტები წარმოშვა რუსეთის პოლი-
ტიკური მსვლელობის ცვალებადობამ,
როდესაც განახლების ხანამ ქვეყანას
ძეგლის ძლის მანტია გადახდა მაშვრალ-
თა ყოინამ ბურჟუასგან გამოარკვია ქვე-
ყანა ბნელი... გასაშლელათ გაზადილი
კუკურს ათასგვარი ნარეკალი ამოყვა
თან და ერთი ასეთი „ნარეკალი იყო,
სხვათა შორის, გუჩიკოვის პარტიაც, მაგ-
რამ მას ნიადაგი უზარეო დაურჩა და
ამიტომ არავისთვის საგრძნობი ნაყოფი
არ გამო-ღია. თუმც ბევრჯერ სცადს,
დრო-ჟამის გერგება—თავისებური კვალი
დამტკიცა რუსეთის საზოგადოებრივი
ცხოვრების მსვლელობისთვის, მაგრამ
იმ დი გაუტრუდათ, ცხოვრების გერგები
გერგებთვე დარჩნენ და ვერაფრის გაკე-
თება მოახერხეს, რადგან ცხოვრებას
პლაგიატები, შემოქმედებითი უნარით
დაუჯილდოებდნენ სიაცს და ეჯავრება.
მათი მოწოდება „ყველაოთ გაქრობა იყო
და დღეს მართლაც ეს სესებით გაითქვი-
ფენ იმ ბ ნაწში, რომელიც კახიანა რუ-
სეთის კეთილდღეობას საბედისწერო ყო-
რანსავით დაფარავს თავს. გულში
გულე იცნო და პოლიტიკურმა დონკი-
ხოტებმაც ბალაჩოვის ბანაკს მიადნეს.
მიდლობა ღმერთს, უსუსურთ მაინც
ალარაფერი რჩებათ საეცქოთ.

ახალი ამბავი.

◆ ქალაქის საფინანსო კომისიამ და-
დგინა, რომ ქალაქის სამსახურში მთხოვ-
ნელნი მიღებული იქნან იმ შემთხვევაში,
თუ აქიმის შემოწმებით იგინი ჯანმრთე-
ლათ იქნებოდნენ აღიარებული. ამავე კო-
მისიამ დაადგინა, რომ ქუთაისის ქართულს
დრამატულ საზოგადოებას კვლავ ერთი
წლით მიეცეს იჯარით ქალაქის თეატრი
1200 მანეთად.
◆ ამჟამათ ქუთაისში თოვლი ღდევ-
და და ქუჩებზე წყალია დამდგარი. ქალა-
ქის განაპირა ქუჩებზე შეუძლებელი ხდევ-
და ფეხით სიარული, ბევრგან ქუჩები
გაუწმენდელია, გუშინდლამდ თვით ქა-
ლაქის ბაღისთვისაც ყურადღება არავის
მიუქცევია. საჭიროა ქალაქის გამგეობა
ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას
მიუქცევდეს და შეეცდებოდეს ქუჩების
გაწმენდას.
◆ საფინანსო კომისიამ უკვე დაა-
სრულა მომავალი წლის სავარაუდო შე-
მოსავალ-გასავლის განხილვა. ამ ანგარი-
შით მომავალი წლის შემოსავალი უდ-
რის 486 ათას მანეთსა და 3 კაპკს.
◆ 10 დეკემბრის დილით პუშკინის
ქუჩაზე ივანე კილაძის სტამბა გაჩნდეს.
წილეს დასაბეჭდათ გაზადილი სხვადა-
სხვა ხელთაწერი.
◆ 9 დეკემბრის დაბატმრებულთა
რიცხვში ქუთაისის ქალაქის თეიმართ-
ველობის ყოფილი მოსამსახურე ბ. მხ-
ვილაძეც ურევია.
◆ ქალაქის გამგეობამ მომრიგებელ
სასამართლოს წარუდგინა ოქმები, რომ-
ლითაც 23 სასტუმროსი და სხვადასხვა
სანოვანო სავაჭროთა პარტონები პასუ-
ხისგებაში მიცემული სანტარული წე-
სების დარღვევის გამო.
◆ ამ ახლო მომავალში ქალაქის
თეატრში გაიმართება ნ. ბარათაშვილის
პოემის „ბედი ქართლისა“ გმირის ირაკ-
ლის ლიტერატურული გასამართლე ა.
◆ 27 დეკემბრის დაბა ხონში გაი-
მართება ლიტერატურული საღამო. მო-
ნაწილეობას მიიღებს ბევრი ქართველი
დამსახურებული და ახალგაზდა მწერალი.

დღიური

სახელმწიფოთა ელჩებმა კრიტოსის გე-
ნერალგუბერნატორს გაუცხადეს დიდი
სახელმწიფოთა კრიტოსის სამგრძნეთის
კუთნილებათ აღიარებენო.
— თეირანის მთავრობამ რუსეთის წი-
ნადანება ყაზახთა რაზმის ხუთასი კაცი
გაშლავების შესახებ მიიღო.
— ირკუტსკის სასულიერო სემინა-
რიაში არეულობაა. შკოლის დამრიგე-
◆ 4 დეკემბრის ფოთში დაუბატმი-
რებით კ. კანდელაკი და კ. კუმბურიძე.
◆ 22 დეკემბრის ქუთაისის ქარაგული
გინაზიის ღარბ მოწვევით სასარგებლოთ
ქ-ნი ე. ჩიქოვანის მეუღლის ინიციატი-
ვით გაიმართება ფრიად საინტერესო მუ-
სიკალურ-ვოკალურ სალიტერატურო
საღამო.
◆ ქუთაისის დრამატული საზოგა-
დოების გამგეობას განზრახვა აქვს დე-
კემბრის უკანასკნელ რიცხვებში საზოგა-
დო საკრებულოს „დარბაზში“ სხენებულ
საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართოს
ლიტერატურულ-მუსიკალური და სცე-
კვო საღამო.
◆ 6 დეკემბრის ავიატორ ქებურიას
განზრახვა ქონდა სოხუმში ფერაზა, მაგ-
რამ სხვადასხვა მიზეზის გამო ფრენა
გადაიდგა.
◆ სოფ. ხეთის მცხოვრებლებმა ფოშ-
ტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის წინა
შე შეზამდომლობა აღძრეს, რათა ხეთის
შემხაველ-გამსესხებელ ამხანაგობას სა-
ფოშტო ოპერაციათა ნება მიეცეს.
◆ პარასკევს ქალთა კრება შეიქმნის
საბჭოს დარბაზში აღარ შესდგება.
◆ ამსწინათ სამსახურიდან დათხო-
ვილი ხარაგაულის მომრიგებელი სასა-
მართლოს მდივანი ა. ლეფავა ამ ეამათ
ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავჯდო-
მარს განკარგულებით საოლქო სასა-
მართლოს გამიჯნის განყოფილების მო-
ხელეთ დაინიშნა.
◆ ქუთაისის სამოქალაქო მომრიგე-
ბელმა მოსამართლემ აბაზის მომხმარებე-
ლი საზოგადოების „ანგარიში“ „გამგე-
ობას“ საჩივრებ უარი უთხრა. გამგეობა
გოკიერლისწილებს 1600 მანეთს უჩიოდა.
◆ ქუთაისის ოლქის სასამართლომ
გადადგა დავით ციკიშვილის საქმე,
რომელსაც მოტყუებით ქალის გაუპა-
ტურება და შემდეგ პატარა შეილიანათ,
უპატრონოთ დატოვება ბრალდებოდა.
საქმე მოწმეთა გამოუცხადებლობის
გამო გადაიდგა.
◆ ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნუმერ-
ში მოთავსებული ცნობა პოეტ ვ. რუ-
ხაძის დაბატმრების შესახებ სიმართლეს
მოკლებულია.

მოწერილი ამბავი.

დ. ხარაგაული. მიმდინარე წლის 15
დეკემბრიდან დ. ხარაგაულში დანიშნუ-
ლია ხარაგაულის წიგნსაცავ-სამკითხვე-
ლოს წევრთა საზოგადო კრება.
მოგავრნებ ბ. ბ. წევრთ, რომ მათი
დაუდევრობის გამო სამჯერ დანიშნული
კრება არ შესდგა. ღონიშნულ რიცხვში
მოწვეული კრება უსათუთა კანონიერათ
ჩაითვლება და ვინც დაინტერესებულია
ადგილობრივ წიგნსაცავ-სამკითხველოს
ბედ-იღბლით, იგი კეთილ ინებებს და მო-
ნაწილეობას მიიღებს სამკითხველოს სა-
ჭირ-ბოროტო კითხვების განხილვაში.
სამკითხველოს გამგეობა.
ს. თერგოლა. ნოემბერში აქიდან გა-
დაიყვანეს მასწავლებელი ალექსანდრე ხა-
რატაშვილი. ეს გარემოება ყველას სა-
წყენათ დაურჩა, რადგანაც ხსენებული
მასწავლებელი სასარგებლო პირი იყო
არათუ მართო თერგოლისთვის, არამედ
მთელი თერგოლის საზოგადოებისათ-
საც: იგი მხურვალე მონაწილეობას ღე-
ბულობდა ყველა აქაურს კულტურულ
დაწესებულებებში და ამას გარდა, რო-
გორც ზედმიწევნით მკოდნე გურულ იმე-
რული და კახური გალობისა, არ ზო-
გავდა თავის შრომას და თერთმეტი
წლის განმავლობაში, რაც იგი აქ მსახუ-
რობდა, როგორც მოწაფეობს, აგრეთვე

დღიური

ბელს სცემეს, რის გამოც უფროსი კლა-
სები დახურეს.
— ოკტომბრისათა ფრაქციას 25 კა-
ცი გამოეყო და ცალკე ფრაქცია დაა-
არსა.
— ბულგარეთში მიწისმოქმედთა
პარტიის წევრთა კონგრესი გაიხსნა.
— ინგლისში ფულს კრეფენ შექსპი-
რისათვის ლონდონში ძეგლის ასაგებათ.
გარეშე პირებსაც ზედმიწევნით შეასწავ-
ლა ხსენებული გალობა.
სოფ. ჩუნეში. ჩენი სოფლის გზების
შესახებ, ლაპარაკი არ შეიძლებოდა
აქამდე. ნამეტურ ზამთარში ამ სოფელ-
ში კი ბედურ ცხენს არ შეეძლო გავ-
ლა, რომ რომელიმე ალავს არ დაფლუ-
ლიყო ტალახში. დიდი ხანი არ არის
მას შემდეგ, რაც ამ სოფელს მოეწონა
მამასახლისი ილიარიონ ქუთათელაძე,
რომელმაც მოკიდა ხელი გზების კეთე-
ბას და ამ მკიერ ხანში უმეტესი ნაწი-
ლი გზებისა ისე მშვენიერათ გააყვია,
რომ საცა აქამდე ცხენს უჭირდა გაწო-
ლა წვიმების დროს, ეხლა ეტლი თავისუფ-
ლათ დაიარება.
თ-და ანტონ ლორთქიფანიძე.
აქიქაური.
ძალიან სწრაფი აღტაცება ვიციოთ.
მზე მზრვალე ცხოველი სხივებით გვატ-
ხარებს. ცხარე ვიციოთ ყოველი საქმის
დაწყება, დიდი პაი-პაი... და, საკვარ-
ველია! მზის სხივები ცხოველმყოფელო-
ბას არა კარგვენ, იმ გვარათვე აცხოვე-
ლებენ ჩვენს ბუნებას, მაგრამ ხშირათ,
სულ ხშირათ აფრთხიანებით დაწყებულს
საქმეს მოღუტება ემწევა.
აი, მრავალთაგან ერთი მაგალითი:—
ატაკებით მივგებთ ქუთაისში ქართული
მომღერალი საზოგადოების დაარსებას.
რა დიდი ხანია, რაც მომღერალთა გუნ-
დის მოწყობა სიხარულს, სიამოვნებას იწ-
ვევდა ჩვენსას, იყო ლაპარაკი წერაც...
და, აი, ასე მალე მივიწიყეთ... კრე-
ბა ამ საზოგადოების პირველად არ
შესდგა, რადგან არვინ მივიდა, მეორეთ
22 კაცი დაესწრა; საზოგადოებას 9 მა-
ნეთი შესვლია საწევრო ფულისა საანგა-
რიშო წლის განმავლობაში.
მერე განა ეს საზოგადოება მართლა
ისეთ პატარა საქმეს ემსახურება, რომ
რითმე გამართლება შეიძლებოდეს ჩვენი
საზოგადოების ასეთი გულგრილობისა?
დ.

შაჰიპის მრავალთა კრება.

კრება გაიხსნა დღის 11 საათზე. აბტკი-
ცებენ წინა სხდომის ოქმს. საბჭოს თავ-
ჯდომარე გ. ზდანოვიწი წინადადებას აძ-
ლევს კრებას გაეგზავნოს დეგეში კავკა-
სიის სამთო-სამართველოს და ეთხოვოს
კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის
(მის. ყვირილის გაბინძურების თაობაზე)
დამტკიცება შეიეროს, ვიდრე საბჭო
თავის მოსაზრებას წარადგენდეს ამ სა-
განზე. კრება ერთხმათ ღებულობს წინა-
დადებას. გადადინა (3 მუხ.) სტატისტი-
კური ცნობების განხილვაზე. გ. ზდანო-
ვიწი კრებას აცნობს სტატისტიკურ ცნო-
ბებს და დასძენს, რომ ეს ცნობები სი-
ნამდილოეს მოკლებულია. ბ. ვაშაძე:—
სტატისტიკური ცნობები არათუ სი-
ნამდილოეს მოკლებულია, სულაც არ
არის იქ მალაროების რაოდენობა, მოყვა-
ნილია მარტო დაზღვეული მუშების რიცხ-
ვი და სხვა. გ. ზდანოვიწი: ბათიამისა და
ფოთის რკინიგზის მართველობათ და მუ-
შებს დეგეშით ვაცნობენ, რომ მოსუ-
ლიყვენ. პირველი ორი დაწესებულები-
დან დეგეში მივიღეთ, ხვალემდე ვერ ჩა-
მოვლენ, ხოლო მუშები კი ზეგმელი და
სიხოვე კრებას გადადევნათ ამ საიოხის
გარჩევა მათ ჩამოსვლამდე. კრებამ ერთ-
ხმათ დაადგინა მოვუცადონ მათ ჩამოსე-
ლას. შეუდგენ (14 მუხ.) შავიქვის წვრილ
მრეწველთათვის სესხის მიცემის საქმეს
სახელმწიფო ბანკიდან. გ. აბაშაძე: ამ სა-
განზე 1910 წელს იყო აღძრული შეა-
მდგომლობა საბჭოს მიერ სავაჭრო და სა-

მრეწველო მინისტრის წინაშე; სამინისტრო შეეკითხა გზათა სამინისტროს, უკანასკნელმა კი მოსთხოვა კავკასიის რკინის გზის მართებლობას თავისი ზრის გამოთქმა ამ საგანზე. რკინისგზის მართებლობა, როგორც ყოველთვის, წინ ელახებოდა კიბურის საქმეს, ახლაც ყოველივე ღონე იხმარა ამ კეთილ საქმეშიც ევნო. ორატორმა გააცნო კრებას ის მოსაზრებანი, რომლითაც რკინისგზის მართებლობა ხელმძღვანელობდა. სამინისტრომ ცენტრალურ კომიტეტს გადასცა, ცენტრალურმა კი როსტოვის კომიტეტს, როსტოვის კომიტეტში როდესაც სესხის საკითხი იჩინა, დამსწრე წევრები განცვიფრებაში მოიყვანა რკინისგზის წარმომადგენლის ინჟ. გერასიმოვის მოხსენებამ. კრებამ ერთხმად იცნო საჭირო, მიეცეს სესხი არა ნაკლებ 2/3 ფასისა შავ. ქვაში რკინისგზაზე ჩაბარებისას. ეგ საკითხი ახლა დამოუკიდებლად შეიძლება ჩაითვალოს მრეწველობა სასარგებლო. წინადადებას აძლევს კრებას—გამოუცხადონ მადლობა როსტოვის კომიტეტსა და ინჟ. პაშკევს, რომელნიც თანაგრძნობით შეხედენ ჩვენს საკითხს. უნდა ახლავდეს ალგორითმად შეამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ შეიქცევა არ იქნეს გამორიცხული სხვა საწარმოო დარგისაგან და მოგვეცეს სესხი გელვადიანი და საწარმოო ანაღად აღიღობრივმა ბანკებმა მიანც გაიღონ სესხი, ამგვარი შეამდგომლობა წინათაც იქნა აღძრული, მაგრამ ბათუმის ბანკის მართებლობა ეუკოვსკიმ თავისი მოხსენებით ამ საქმეს ავნო.

ა. გამრეკელი. როსტოვის კომიტეტში წვრილი მრეწველების მხრიდან მივიღე მონაწილეობა. ა. აბაშიძის ნათქვამს მე მეტს არას დავძენ. ორატორმა გააცნო კრებას თავისი პროექტი კომისიის დაარსების შესახებ. მისი აზრით, საჭიროა დაარსდეს კომისია სამი ფუნქციით: 1) მრეწველებისა და მუშების შემარგებელი; 2) ფასების დაარსება და 3) უპარგისი ქვის აღმოფხვრა.

გერასიმოვი მოითხოვს გამრეკელის მოხსენების გაეცნოს, რომელიც მან წარადგინა როსტოვის კომიტეტში.

ა. გამრეკელი კითხულობს. მოხსენება შემუშავებულია იმ წვრილი მრეწველების თანადასწრებით, რომელთაც დამავალეს თავისი ინტერესების დაცვა.

გერასიმოვი შეურაცხყოფითა თვლის საზღვარგარეთელ ფირმებს ამ მოხსენებით.

ა. გამრეკელი. მე სახეში რიგიანი ფირმები კი არა მაქვს, არამედ ისეთები, ვინც ჩამოდიან, იყიდიან ქვას, ფულს იტაცებენ და კიბურაში არავითარი წარმოება არ აქვთ.

გ. პაშკევი. როდესაც გამრეკელი აირჩიეს, მეც ვიყავ იმ კრებაზე, მაგრამ მაშინ არავითარი მოხსენება არ შეუმუშავებიათ. ეს პირადად გამრეკელის შემუშავებული მოხსენებაა.

გერასიმოვი. კრებაზე გამოიტყვა სურვილი 10 ქვეყა ნაკლებიან მრეწველს სესხი არ მიეცემოდა. ეს დღით მოეჩვენათ ზოგიერთებს, მაგრამ დაადგინეს, რამდენიმე მრეწველი შეკავშირებულიყო ერთად და აეღოთ სესხათ განუზრგვალთ ერთგვარებას.

კრება შესწყდა 15 წამით. კრების განახლებისას გ. ზდანოვიჩი: კრებამ უნდა აღიაროს სასურველია, თუ არასესხი მიეცეს მრეწველთა სახელმწიფო ბანკიდან და თუ ამაზე უარს გვეტყვიან, კერძო სააღგელ-მამულო ბანკებიდან მიანც; რაც შეეხება გამრეკელის მიერ წარმოდგენილ ფორმულას კომისიის დაარსების შესახებ, რომლის მოგვარებასაც შეადგენს 1) ატეხილი უთანხმოების მოგვარება მუშებსა და მრეწველთა შორის ფასების დაყენება ქვაზე, ამგვარ კომისიაში უნდა მიიღოს მონაწილეობა მუშების წარმომადგენლებიც, უამისოთ ჩვენი შრომა ფუჭი იქნება, მრეწველი და მუშა თუ შეთანხმდებიან, შეუძლიათ ნორმალური ხელშეკრულება იქონიონ, თვარა ჩვენ რით ვევიწოდებთ უთანხმო მხარე დავითანხმო. ამბობენ,

კომისიის მიერ დადებული ფასი ქვას საზღვრებულ იქნეს ყველასათვის. მიკერის, ვისთვის უნდა იქნეს საზღვრებული მყიდველთა თუ გამყიდველთათვის. ორივე მხარე თუ თანახმაა, მაშინ შეიძლება მიეცეს მნიშვნელობა, მაგრამ, შეეკვირება ამგვარი თანხმობის: მყიდველს უნდა იაფათ იყიდოს, გამყიდველს კი ძვირათ გაყიდოს; მესმის კომისიის რომ მიზნით ქონდეს ერთი მხარის შეკავშირება, თუ კრება მივა იმ დასკვნამდე, რომ შეიძლება შეთანხმება, უნდა აღესპრათ შეამდგომლობა, რომ შეიძლოს სრულიად რუსეთის სახელმწიფოში ინსტიტუტი კანონმდებლობითი წესით.

გამრეკელი. მე დამავალა მუშების წარმომადგენელმა, ვაცნობო კრებას რომ ისინი თანახმა არიან კომისიის დაარსებისას.

გამრეკელი. კომისიის დაარსების წინადადება. უმისოთაც ბევრი კომისიებია. გვქონდა ასოციაციები, მაგრამ მოსიშა, ამბობენ კომისია მოგვარებს მრეწველთა და მუშებს შორის ატეხილ უთანხმოებას. კეთილი. მაგრამ ვინ იძლევა გარანტიას? მე თვით მქონდა შემთხვევა მიმდებარე რამდენიმე მუშების წრისთვის, მაგრამ მუშები არც ერთზე არ დასთანხმდნენ, ჩვენი საქმე ჩვენ უკეთ ვიცითო. ამბობენ: შეიქცევის რაღაც დეფლაცია. ესეც შეუძლებელია. სირიიდან რამდენიმე მილიონი ფუთი 37% ქვა შეიძინეს პრაქტიკული მოსაზრებით.

გამრეკელი. პაშკეს სიტყვებიდან გამომდინარეობს—თურქი საზღვარგარეთ ყოველივე თხლამის გაგზავნა შეძლებულია, ჩვენგან კი 48% ნაკლებ ქვას არ დავუტოვებ, მისთვის გვინდა კომისია, რომ ვიძლეოდეს ექსპორტერები კარგი ღირსების მადანა გაგზავნონ საზღვარგარეთ და ფასი არ დაეკის.

გერასიმოვი. მე ვეთანხმები ბ. პაშკეს იმ მოსაზრებაში, რომ ჩვენ ბევრჯერ ვისთვით მიგვემართა მუშებთან მოსარგებლობა, არ ვიცოდით და თუ მაგვრობდა დაწესებულებები ინსტიტუტს, როგორც ამერიკაში, მე სრული თანახმა ვარ; რაც შეეხება სირიიდან 37% მადანის ყიდვას ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პირველათ სირია ზღვაზე ახლოსაა, ფრახტი მცირეა და იქაურ მადანს სხვა ღირებულობაც ურევია, რაც ჩვენს მარგანეცს აკლია.

სამან წერეთელი: მიკერის, აქ რომ რაღაც კომისიის დაარსებაზე ლაპარაკობენ. განა შეიძლება შერიგება მუშისა და მრეწველის, სანამ კაპიტალი არსებობს. მუშა თავის შრომას აფასებს, მრეწველს კი უნდა, რაც შეიძლება, მუშა მეტი ამუშავოს და ცოტა სასყიდელი მისცეს. კომისიის დაარსება უსაფუძვლოა. ამერიკაში სიმდიდრეს ჯერ მიწაში იხაზენ, ახლა ჩვენგან წილებიან; ჩვენ მათზე გვიან გამოვიფხიზლეთ, ჩვენს სიმდიდრეს ვერ ვაფასებთ, ჩვენს თავად აზნაურობამ ჩალის ფასით დაკარგა თავისი მადანი. ამ ხანათ თუ არ გაიყიდა მარგანეცი, როდის გაიყიდება, განა მაშინ, როდესაც ამერიკა ხელს მყოფს თავის მეტ % მარგანეცის გამოზიდვას? ექსპორტერებს უნდა იაფათ იყიდონ, მრეწველები ცდილობენ ძვირათ გაყიდონ, რომელი ექსპორტერი შევა მრეწველთა პირობაში. ბ. პაშკეს რომ უთხრათ გამრეკელისა და ქანაშვილის ამხანაგი შეიქცენო, არ დასთანხმდები, თუ დასთანხმდა შეშლილი იქნება და საგიყეთში უნდა მოვათავსოთო. შეაქვთ სამი ფორმულა.

მესდეს კომისია სამი ფუნქციით: 1) დაადგინოს ფასები ქვასზე; 2) დაფილოს უპარგისი ქვა და 3) მოგვაროს შეთანხმება მუშებსა და მრეწველებს შორის. კაცა პაშკევი: დღესვე დაველოს კრებას იშვამდგომლობა მოგვარების წინაშე, შევიქცეა არ იქნას გამორიცხული სხვა საწარმოო დარგიდან და მოგვეცეს სესხი გელვადიანი და საწარმოო სახელმწიფო ბანკიდან ადგილობრივ კერძო სააღგელ-მამულო ბანკებიდან; გამოცხადოს მადლობა კრების სახელით როს-

ტოვის კომიტეტსა და ინჟინ. პაშკევს იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ აღმოგვიჩინეს. წინადადებას კრება ერთხმად დებულობს. მიიღო მხოლოდ მესამე მუხლი ხმის უმეტესობით და დადგინა: აღსკრას შეამდგომლობა საბჭომ მეფის მადლილის წინაშე, შემოღებულ იქნას ინსტიტუტი, რომელიც მიზნით ექნება მუშებსა და მრეწველებს შორის ატეხილი ურთიერთობის მოგვარება. ნაშვადღევის 3 საათზე სხდომა დაიხურა. შემდეგ სხდომა სამშაბათს, 10 დეკემბერს.

ქუთაისის ქართული მომწერალი სამოადოების კრება. კვირას, 8 დეკემბერს, მოხდა კრება ხსენებული საზოგადოების. მამასახლისთა საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ 17 ნოემბერს დანიშნული კრება არ შესდგა, რადგან იმ დღეს კრებაზე წევრთა საქმარის რიცხვი არ გამოცხადებულა, ამიტომ დღევანდელი კრება რომელსაც 21 წევრი გამოცხადდა, კანონიერათ ითვლება, და მისცა წინადადება ამოიჩინონ კრების თავჯდომარე და მდივანი. კრებამ ერთხმად აირჩია თავჯდომარე ივ. ჩიმაძე და მდივანთ ვ. ლომიძე.

კრებას მოხსენდა ორი წლის, (1912 და 1913) ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ საზოგადოებას გაუმართავს კონცერტები ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიისში, ხონსა და ზესტაფონში. ამ კონცერტებიდან შემოსვლია საზოგადოებას 1711 მან. 78 კაპ. ბათუმისა და ქუთაისის საზოგადოებას კრებებზე დაუბრუნებიათ საზოგადოებისთვის, შემოწირულობის სახით, დარბაზის ქირა 140 მ. ამას გარდა ბ. კოტე ფოცხვერაშვილს, რომელსაც საზოგადოება დაეხმარა სიმფონიური კონცერტის გამართვის დროს, შემოუწირავს 100 მან. და ქუთაისის საზოგადოება ბანკის ზედამხედველ კომიტეტს მიუცია დასახმარებლათ 50 მან. ესეხათ აუღია საზოგადოებას ქუთაისის სასურთიერო ნდობის ბანკისაგან 400 მან. ეს ვალი მამასახლისთა საბჭოს თავის დროზე გადაუხდია. სულ შემოსვლია საზოგადოებას 2440 მან და 43 კაპ. სამწუხაროა, რომ ამ ჯამში შედის საწევრო ფულისა მხოლოდ 9 მან. ჩანს—ფულის გადახდელი წევრი საზოგადოებას თითქმის არც ყოლია. ეს მოგვინა საგულისხმოა და მეტათ საჭიროა რომ ქართველობამ ხელი წაუჭედინოს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. წელიწადში 3 მან. გადახდა არავის უნდა გაუჭირდეს, საზოგადო საქმეს კი დიდ დახმარებას გაუწევდა.

ამავე ანგარიშიდან ჩანს, რომ საზოგადოებას ამ ეამათ ბინა არ ქონია უსახსრობის გამო, ამ 1913 წლის განმავლობაში გუნდი საზოგადოებისა იკრიბებოდა ბ. გ. გიგინეიშვილის სახელობით კურსების სადგომში. საანგარიშო წლებში საზოგადოებას დაუხარჯავს 2353 მან. უმთავრესი ხარჯი გამოუწევია ტანისამოსების შეკერვასა და მოგზაურობას. ამ ეამათ საზოგადოებას აქვს ვალი 234 მან. კირაკოზიასა და ოგანოვის მადანისა, ნაღდათ კაქასაშია 87 მან. 43 კაპ. კრებამ ანგარიში სარგებლო კომისიის წინადადებით დაამტკიცა და დადგინა

ად. ატყორცნილ იალბუხსა
ლორუბლის ქულა საბნათ ბურავს...
მთის არწივი ფრიალო კლდეს
თავს დაყივის, ფრთებსა წურავს...
ელვამ დაჰკრა მთების მწვერვალს,
და შეაქროთ მთა და ბარი...
ძირს ღვართაჟათ კლდის გულმკერდზე
გაღმრეშვა ნიაღვარი...
მთით მოხეტოილ ნიაღვარსა
დაბლა ხევმა მისცა ბანი...
გასწყვეტს, გასწყვეტს მონობის ხუნდს
კლდეს მიბმული ამირანი...
გ. ზორგაძე.

მადლობა გამოცხადოს: ქუთაისისა და ბათუმის საზოგადო საკრებულოებს, საზოგადო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, კოტე ფოცხვერაშვილს, გრიგ. გიგინეიშვილს ბანის უსასყიდლოთ დათმობისთვის და ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობას თეატრის მცირე ფასით დათმობისათვის. მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს კრებამ გამოთქვა სურვილი, რომ მამასახლისთა საბჭომ დაეჭირავოს სახლი, სადაც უნდა მოეწყოს გუნდის შეკრებები და შეეცადოს გადამხდელი წევრების რიცხვის გამრავლებას; გაიმართოს წელიწადში არა ნაკლებ სამი კონცერტისა, რომლის შემოსავლითაც შეეცადოს მიუცოდებელი ხარჯების დაფარვას. ბოლოს აირჩიეს: მამასახლისთა საბჭოს წევრებათ იაკ. ჩიმაძე, თდი ბონდო მიქელაძე, კ. მალრადე, ილ. მაქაბიანი და გ. მეურნალი, ამათ კანდიდატებათ ლ. დ. ბოკერია და ვ. კ. აბლაძე; სარგებლო კომისიის წევრებათ: ვ. მ. ლომიძე, ს. ჩიხლაძე და ვ. ა. ლალიაშვილი.

რუსეთი. მოდელ სტუდენტთა პროტესტი. ერთ-ერთს ბოლონური გაზეთში გამოქვეყნებულია ბოლონური პრესის წინააღმდეგ კიეველ სტუდენტთა პროტესტი. ბოლონური სტუდენტების პროტესტი გამოწვია ბეილისის საქმესთან ბოლონური პრესის დამოკიდებულებამ. პროტესტში აღნიშნულია, რომ ბოლონურმა პრესამ ბეილისის საქმით ისარგებლა და ებრათელა წინააღმდეგ ბოიკოტის სასარგებლო ავრტაციას გასწავლა. დამსჯის ორგანო და სახელმწიფო საზოგადოების ორგანო ეძებს იმის მიზეზს, თუ საბჭოს მემოქმედენ წევრები რისთვის წავიდნ ბოლონური ენის წინააღმდეგ. ხსენებულ ორგანოს ამის მიზეზათ გერმანელთა და ებრაელთა გაძლიერება მიანია. ებრაელთა შესახებ ეს გაზეთი შემდეგ აზრს გამოთქვამს.—ებრაელებმა განაცხადეს, რომ ისინი კანონაროგეტის წინააღმდეგ წავლენ და ეს ყველამ იცოდო.

ანკეტა ოკტომბრისთვის შესახებ. „რუს-კოე სლოვს“ რედაქციამ თავის კორესპონდენტებს საანკეტო ფურცლები დაუგზავნა: ადგილობრივთა არსებობენ თუ არა ოკტომბრისათა კომიტეტები და ან თუ არსებობენ, რამდენი წევრი ყუთ და ვინ არის ეს წევრები? რედაქციამ ბევრი კორესპონდენტისგან მიიღო ცნობა, რომ ადგილობრივთა ოკტომბრისათა კომიტეტები არ არსებობენო. ზოგიერთ ქალაქში ოკტომბრისათა კომიტეტები არაოდეს არ ყოფილა, ზოგიერთში ყოფილა, მაგრამ დახურულია.

აქისის სასწავლო ოქტის მზრუნველი. ადგის ოქტის მზრუნველობა სასწავლებლებს დაუგზავნა ცირკულიარი და აცნობა მასწავლებლების ან პროფესორის დანიშნის დროს უპირატესობა რუსსა და მარილმარწყუნე პირთ მიეცითო. ადგის უნივერსიტეტის ზოგიერთმა ფაკულტეტმა სთხოვა ოქტის მზრუნველს: გვიჩვენეთ კანონი, რომელიც ამართლებს ამ განკარგულებასო. ზედასა და პარანოტემალი. ბეი-

ლისმა მილიონერის როტშვილისგან წინადადება მიიღო, პალესტინაში ერთად წავიდეთო. როტშვილი ბეილისს პირადება პალესტინაში ფერმას გაუქვბო. ბეილისს ვერ გადაუწყვეტია დასთანხმდეს თუ არა როტშვილის წინადადებაზე.

უცხოეთი. გასტე გრეგ. რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა გუსტავ ერვეს წიგნი ელზას შესახებ. ამ წიგნმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში და ყველა გააკვირვა ერვეს შეხედულებებმა. ახლა გაზეთი „მეტრენის თხოვნით, ერვემ დასტამა ამავე გაზეთში თავისი შეხედულება ელზას-ლორენის შესახებ: იგი სწერს:—საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მესაკითხის შესახებ ფრანგურის ხელშეკრულებამ უფარგისია და ამას ამტკიცებს უკანასკნელ ხანებში მომხდარი ცხენის ამბები. ორივე ნაციის ღირსება მოითხოვს, რომ ეს საკითხი მეგობრულათა და კულტურული გზით უნდა გადაწყდეს, ერვეს საკითხის გადაწყვეტა უფლებების საზღვრებში შეუძლებელია მიანია, ვინაიდან გერმანიის მთავრობისათვის გამარჯვების უფლება არსებობს და საფრანგეთის ხალხი კი იმ რევოლუციონურ კანონს აღიარებს, რომელიც გამოაცხადეს ბასტილის ნაფრევებზეო. ეს კანონი იმას აღიარებს, რომ ყოველ ხალხს უფლება ქონდეს თავისი ბედი თვითვე განაგოს. ამ ორ აზრთა შეთანხმება კი შეუძლებელიაო. სკადეთ, დაუბრუნეთ ელზას-ლორენი სფრანგეთს და მის მაგიერათ მიეცით გერმანიას ინდოკიტაი, მადგასკარი და ან საფრანგეთის კონგოს ნაწილიო, ამბობს ერვე და რას ფიქრობთ ამას გერმანელი სოციალისტები დაგთანხმდებიან? ბოლოს ერვე თავისი წერილის ერთ ადგილას ამბობს:—საკითხის სხვაანართა გადაწყვეტა თუ შეუძლებელია, ელზას-ლორენი დარჩეს გერმანიის ხელში, მაგრამ მიეცით მას რესპუბლიკანური ავტონომია, ისეთი, როგორიც, აქვთ ბრემენს, ლუბლინსა და გამბურგს. ბოლოდ საკითხის ასე გადაწყვეტას შემდეგ შესაძლებელია შეიარაღებული მშვიდობიანობის ადგილი ნამდვილში მშვიდობიანობამ დაიკავოს. ერვე გერმანიის სოციალისტებს მიმართავს:—თქვენ ამტკიცებთ, რომ ელზას-ლორენში სახელმწიფო საქმის მოწყობა გერმანიის შინაური საკითხიაო. ჩვენ ეს საკითხი მართა გერმანიის საკითხთა კი არა, საფრანგეთის საკითხთაა მიგვანია. გავიმეორებთ, მიეცით ელზას-ლორენს რესპუბლიკანური ავტონომია და საფრანგეთის ხალხის შეურაცხყოფილი ღირსება დაკმაყოფილდება და ნამდვილი მშვიდობიანობაც მაშინ ჩამოვაშენება.

თეატრი და ხელოვნება. თეატრის ქართული თეატრი. „ნაგავის“ წარმოდგენის შემდეგ ქართული თეატრი ახალი და საინტერესო არა იყო რა. დაიწყო ბენეფისების ხანა. მომენტებისგან ერთი მეორეს გადააქარბეს ძველი და ახლებელი პიესების ამოჩვენეთ, ისეთი პიესების, რომლისაც ხალხს არც რამ გავიგება და აქ არას არგებს. ხალხმა ამიტომ სიარულს უკლია. სოციალიზმი ჩვენი საზოგადოების: სდგამენ „მორე ოტუმას“ და სხვა ასეთ პიესებს, ამ დროს კი ჩვენი კლასიკები, რომელიც მუდამ იზიდავს ხალხს ახლანდის არის ადებული. აქვსენტი ცავარლის ხსენება როგორ შეიძლება? ახლი ემხადებია ო. გედევანიშვილის ახალი პიესის „სინათლის“ წარმოსადგენათ. ნიჭიერ დრამატურგს უკანასკნელი დრამა-ფერია „სახალხო გაზეთში“ იბეჭდებოდა. იგი საუცხოოა თვისი ფერადობით და იდეითაც. ანგარიში თავის დროზე მოვათავსებთ. კარგი იქნება, ასეთი პიესები ხშირათ იდგმებოდეს და ხალხსთვის გაუგებარ რუსული ცხოვრების გამოხატველ პიესებს თავი მიანებონ ჭიანჭია.

დაბა-სოფლები. ს. სეთა (ოდიში). ხშირათ დამბედავება სურვილი—ზოგიერთი უსამართლობა ჩვენი სოფლისა გაზეთის საშუალებით ვამცნო მკითხველ საზოგადოებას. მაგრამ ჩვეუქრებულად, მითქვამს:—გამოვე, რა-

